ოქმი:**ო02.37220471**
თარიღი:**16/02/2022**

ოქმი № 5

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის სხდომის

2022 წელი. 14 თებერვალი

ქ.ოზურგეთი16.00 სთ

თავმჯდომარეობდა: ბექა თოიძე- მუდმივმოქმედი კომისიის თავმჯდომარე

ესწრებოდნენ- კომისიის წევრები: თ. ტუღუში. ალ. ღლონტი. ლ. კილაძე. ტ. არუშიძე. დ. ჭაკნელიძე. ნ. ჭანიშვილი. ვლ. ხავთასი. ნ. სარჯველაძე. ბ. ქათამაძე. თ. ნიკოლაიშვილი. გ. შილაკაძე. გ. კილაძე.

სხდომის თავმჯდომარემ კომისიის წევრებს გააცნო სხდომის დღის წესრიგი, რომელიც დაამტკიცეს ერთხმად.

დღის წესრიგი

1. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის მე-IV კვარტლის შესრულების ანგარიშის მიმოხილვის თაობაზე.
   მომხს: ბ. თოიძე
   მომხს: გ.მამაკაიშვილი

2.გარემოსდაცვით საკითხებთან დაკავშირებული ინფორმაციის ხელმისაწვდომობის, გადაწყვეტილებების მიღების პროცესში საზოგადოების მონაწილეობისა და ამ სფეროში მართლმსაჯულების საკითხებზე ხელმისაწვდომობის შესახებ“ (ორჰუსის) კონვენციის მხარეთა შეხვედრაზე“ ცნობად მიღების შესახებ.

მომხს: ბ.თოიძე

3.შემოსული კორესპოდენციების განხილვის თაობაზე.

მომხს: ბ. თოიძე

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსმა, გია მამაკაიშვილმა, კომისიის წევრებს წარმოდგინა ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის მე-IV კვარტლის შესრულების ანგარიში. აღნიშნა, რომ 2021 წლის ბიუჯეტიდან სოფლის პროექტების მხარდაჭერის პროგრამული მუხლიდან გადმოვიდა 75 ათ. ლარი თავისუფალი ნაშთის სახით. ეს იყო ტენდერის

ეკონომიები და გარდამავალი პროექტები. საკრებულოს წევრების მხრიდან დაისვა შეკითხვები აღნიშნულთან დაკავშირებით.

კომისიის თავმჯდომარემ ბექა თოიძემ კომისიის წევრებს გააცნო საკრებულოში შემოსული კორესპოდენციები: 1. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოფელ დვაბზუში მცხოვრები, რამაზ მგელაძე ითხოვს ქუჩის მიმანიშნებელი აბრის დამზადებას, ხოლო ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოფელ მშვიდობაურის საჯარო სკოლის დირექტორი ირაკლი გარაყანიძე სკოლის ეზოში სანიაღვრე არხის გაკეთებას და სკოლაში ორი სასწავლო ოთახის გარემონტებას. ბექა თოიძემ აღნიშნა, რომ თავად იმყოფებოდა მშვიდობაურის საჯარო სკოლაში და იქ შექმნილი სიტუაცია წარმოუდგინა კომისიის წევრებს.

გადაწყვიტეს:

1.ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის მე-IV კვარტლის შესრულების ანგარიში მიღებულ იქნას ცნობად.

2.გარემოსდაცვით საკითხებთან დაკავშირებული ინფორმაციის ხელმისაწვდომობის, გადაწყვეტილებების მიღების პროცესში საზოგადოების მონაწილეობისა და ამ სფეროში მართლმსაჯულების საკითხებზე ხელმისაწვდომობის შესახებ“ (ორჰუსის) კონვენციის მხარეთა შეხვედრაზე“ მიღებულ იქნას ცნობად.

3.საკრებულოში შემოსული განცხადებები რეაგირებისათვის გადაეგზავნოს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიას.

ბექა თოიძე

სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების და
ინფრასტრუქტურის კომისია-კომისიის თავჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი